

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣବିଜ୍ଞାନ

କାଳିଦୟ ଜୀବନ ଏତନ୍ତିରେ



ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନକାରୀ

20633640

1	ମେଘଦୁର୍ବ୍ଲାସ ଲୋହେଦାଶତନ୍ତ୍ର	75
2	ଦେଖିପତ୍ରକର୍ଣ୍ଣଙ୍କ	78
3	ଶ୍ରୀଜିତ	82
4	କାଶେଷକାର ମନେତାର୍ଥୀ	84
5	ମେଳିଶ୍ଯବ୍ଦିଳ ଧର୍ମବ୍ୟବସାୟ	90
6	କିନ୍ତୁଦିଲ ଶ୍ରୀପଦଗ୍ରୂହ	94
7	ନାର୍ତ୍ତା: ୧) ଶ୍ରୀକର୍ଣ୍ଣଦୁର୍ଲ୍ଲଭ ଉତ୍ସର୍ଗବି, ୨) ଶ୍ରୀଦୁର୍ଗାକାର ମନ୍ଦିରପାତାରିକା, ୩) ଶ୍ରୀରାମ ଅନୁମତିଶ୍ଵରମାତ୍ରାଦି, ଓ ୪) ଶ୍ରୀନାର୍ଦ୍ଦାମ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପାଠି	101
8	କାଶେଷକାର ମନେତାର୍ଥୀ ଦ୍ୱାରା କାଶେଷକାରକ- ଦୀଃ: ୧) „ନାମିତା, ନିମିତା“, ୨) ପା- ଶର୍ମକାନ୍ତବି	103
9	ମାର୍ଗାନ୍ତା ମହାତତ୍ତ୍ଵବ୍ୟବସାୟରେ ଶ୍ରୀରାମଗ୍ରୂହ	104

IV

ગ જ દ દ દ દ દ જ ન ઓ

1904



ଓঞ্জিলাসি
ଶ୍ରୀପ୍ରତିଷ୍ଠାନକୁ କ୍ଷେତ୍ରମାଟା ପିଙ୍ଗ, ପାଥିମିଟ୍ର, ପାରି, ଅଶ୍ବାନ୍ଧୁଳୀରେ
1904



Дозволено цензурою 21-го декабря 1904 г. Тифлисъ





მილოცვა ღიღედასთან

Qომილოცნია შობა ღღე
Gღიღედო, გენაცვალები;
გნატრობ მანდ ვიუო ამ წუთმა,
რომ დაგიკოცნო თვალები.

მოგიჟვე სკოლის ამბებსა,
მოგიჭირებიკო ტქბილათა,
ახლა მე გითხრო ზღაპრები
და გულს ჩაგებრა ტქბილათა.

ღიღედო, მრავლად ვისწავლე
ლექსები, გამოცანები,
სოგი კოპტია შარადა
და ზოგიც ამოცნები.

იმ ღღეს გვიამბო სკოლაში,
მასწავლებელსა ანასა
ლემბეძი გაზრდილ ქეთოზე,
თუ რა ჰქმნა „იავნანამა“.

ოო! რა ემაკი უოფილა
გიკოლას შვილი „ქაჯანა“:
გუდრაჭამ დაუცინავი
აღარვინ გააჭაჭანა!

მის ოინები რომ გითხრა,
მეტი თუ არა ასია;



ვინ მოსთვლის, რამდენი მაღლი
ექვით ძაღლს გადასია.

თვით წავიკითხე აქაცის
ჩაწია წიგნი „გადია“,
სოფრომის „ეუეიტას ქურდიც“
ქარგი ეოფილა, ცხადია.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობა
„ამბავი ნუკრის შეილისა“
რომ ჩავთავე, კერ შევმელ
თვალზედ დაჭმესა ცრემლისა.
თევოს „ფითრი“ და „ობობა“,
ბეჭრი ამბები კიდევ სხვა
გადავიკითხე ჯეჯილმი,
ეველა შორიდან როგორ ვსოდა!...

დიდებო, ჩემი დიდებო,
ჩემთვის უტყბესო სულზედ,
ეველას ძანდ გადავიკითხვა,
რო მოვალ გაზაფხულზედ.

ქსლა მოკითხვა ელენეს,
თამროსი, ქეთენოს, ტასოსა,
ქოტიას, ლეოს, ზურაბსა,
შალვას და პუბნა ვასოსა.

· მოკითხვა ეველას, ვინც კი მანდ
ჩემი ტოლი და სწორია,
სულით და გულით მანდა ვარ,
თუმცა სავალი შორია.

არ დაივიწეო, დიდებო,
ჩემი ქოჩორა ვარია,
ნიძა ხბო, ავი ვიშერა
და ფისო ეველიაზრია.

କେନ୍ଦ୍ରିତେବା ଧର୍ମକେନ୍ଦ୍ରିଯବା
ମାତ୍ରିକି ପ୍ରଦେଶକ ପ୍ରଦେଶକ,
ଶାଶ୍ଵତର ପ୍ରଦେଶକ ପ୍ରଦେଶକ
ଓ ଧେହାଚ୍ଛେନିକ ପ୍ରଦେଶକ.

ପ୍ରଦେଶ, ରାମ ମୃଦୁଲୀର୍ଣ୍ଣବାନ,
ମାତ୍ରିକି ରା ନୀତି ପରିବାର!
ଶାଶ୍ଵତର ମାତ୍ର ଧେହାଚ୍ଛେନି,
ମାତ୍ରାତତ୍ତ୍ଵବାନ ମୃଦୁଲୀବାନ!

୩. ମଧ୍ୟମିଲାନ.



დამებობრდნენ

(დასასრული)

ა ბები თრიცენი მიუიღნენ რძით საკეთ ჯამთან და დაუწეს ლოკებ.

— კარგა ხანია აქ აღარ კუთვილევარ. ის მზარეული ქალი, მე რომ თქვენის თავს მაძლევდ, არ ჩანს, სააგარა კოთ თუ წავიდა? — სთქვა წითერამ.

— არ ვიცი. არც ისე დღი ხანია, რაც აქ ჩამოვედი, სულ კეცეკერ ამოვიდა მხე: ხამჭერ გარედ ცახე და ხამჭერ თახში, მაგიდის ზემოდ.

— მაშ ხამი დღე და დამე კოფილხარ... რა კარგი რძებ და ბლომბდც არის. ხეჭი დარია კი წელიანს მაძლევს. ქალ ბატონს აჩვენებს, ვითომ რძეს ვაძლევო, მაგრამ ჩემი პატრონი თვალებზე შეძებს იყვრებს, ხომ იცი, სათვალეები რომ ჰქვიან: ის უშლის ხედვას და ხაძვილი რძე ჰქონია... თრა ჯერ გავუტეხე ეს შეძები და ორჯერვე უეადა დარიამ, განგბბ, რასაკვირველია, რომ რძე თითონ დალიოს. — წითერამ დაანება ჭამას თავი, ხამოვეუნდა და გაისწორა ულვაშები.

— მიირთვი კიდევ, მე კიდევ დამისხამენ, — შესთავაზა გულიკომ.

— არა, მადლობელი ვარ, დღეს აღარ მინდა, მაგრამ ხებლები, რადგან ასე გულით მითხოვ, აღარ გაგანწილებ, მოებლ, — მიუგო წითერამ.

— მამ ქსლა წავიდეთ, თხილი გავაკოროთ,— მიმდინარე
გულიყომ წითერას. ის ცდილობდა ქსიძმოვნებინა სტუმარების
ვის. გულიკო აიწერა, ამოკუნა ზურგი, შეჭნტრუშდა და გადა-
ხტა. გადახტა წითერაც და ორივენი გაიქცნენ თთხისავნენ.
დოდ სასტუმრო დარბაზში, შეასე, ექარა რამოდენიმე თხი-
ლი.

— აბა, მიუკრე,— სთქმა გულიყომ და თხილის თათი შემო-
ჰქონა. თხილი გაგორდა: გულიყო მარდად დაყვენა, დაიჭირა
და კიდევ შემოჰქონა თათი. თხილი ისევ გაგორდა სმაურობით,
მაგრამ გულიყომ ქსლა წინიდან დაუხტო თავი, დაიჭირა
და შეათამაშა თათებში.

— ოქო,— ძესძახა წითერამ,— ქენ წრიპინას დაჭერას სწა-
ვლობ,— აი ჩვენი დარია, რომ თავში ქმარის... ვერ არ და-
გიტერია? — ჰქითხა მან მხიარულდა, თითონაც შემოჰქონა თა-
თი თხილის და დაედევნა. — მაღიან თინები გცოდნია, მაღიან,
— ამბობდა ის.

— ოო, ეს რა უნდა იუოს! ქენ უნდა ნახო, რა მარდად
ვიცი ხეხე ასრიალება. ხედვ, ეპერ კუთხეში, რომ მაგალი
რაღაცა დგას, ზედ რომ ბავშვი შესკუბებულა, და თითი აუ-
წევია ზევით? თუ ვინდა, აი, იმ ბავშვთან შევხტები ამ წა-
ში, ვინდა?... — დაეკითხა მხიარულდა პატია წითერას და გა-
სწია კუთხისავნენ. გახსარებული წითერა უქნ გამოუდგა, დაქ-
წია, მოხვია ორივე თათი და ორივენი დაგორდნენ გაბრია-
ლებულ. იძტაქე. ერთხმანს ითამაშეს, ბოლოს პატია გამოუს-
ხლტა კლანებიდან და მხიარულდა კიდევ დაეკითხა კატას:

— კაჩეენო, როგორ ვიცი ხეხე-შეპროწიალება? აი, ავხტები
ქსლავე იმ ბავშვთან. აბა მიუკრე!

წითერაც ამოუდგა პატიას გვერდი და აიხედა ზევით.

— იცი რა გითხრა? მე დარია უოველთვის მცემს, როცა
ან მაგიდაზე ან სხვა რამეზე შევხტები; მაგრამ ქენ გულ-

კეთილი ჰატრონები გულია. ეს ბავშვიც პაი გულის მანძილზე იცინის და თითიც ზეცით აუწევია, — იქნება ჩვენ გვეთავსძება?..

მოდი, ორივენი შეგხტეთ. მაღაინ კარგი ვქმნი, რომ მოვედი შენთან. ჰმებინი ქუტი ულფილხარ და მე ჰმებინები მაღაინ მიუვარს. განა არა: როგორც დაკინასე, მაძინე შეგატმვე, რომ უაჩბდი იუბვი.... აბა გავი ქცეთ მეორე კუთხეში, მერე იქიდან გამოუქანდეთ და, უცებ შეგხრიალდებით.


ისინი გუნტრუშ-თამაშით გაიქცნენ მეორე კუთხეში, მოტრიალდნენ და გაქანდნენ. თვალის დახსმხამების უმაღ თითაწეული ბავშვთან შესრი-



აღდნენ, მაგრამ აქ სრულიად მოულოდნელოდ, ორივე კატები ბავშვიანად ბრახუნით იატაკზე გახნდნენ. ბავშვი სადღაც გაჭრა: სამაგიეროდ რაღაც თეთრი ნატეხების გროვა ექარა იქვე იატაკზე; მეორე მხარეს წაქცეული ის მაღალი ჰაწია სვეტიც, რომელზედც ბავშვი იდგა. კატები ერთ წამს იქნენ ერთად, თითქოს ჩახვეული, მაგრამ წითერა სწრაფად წამოვარდა.

— ვაი, დავიდუხეთ! — სთჭა იმან: — დაიმალე ესლავე, მე კი შინ გავიქცევი. ეს ჩვენ ფაიფურის ბავშვი გავსტენეთ. ჩვენც გვაქვს ფაიფურის არაბი: ისეთი გააფორებული სახე აქვს, რომ არასოდეს არ მიფიქრია იმასთან შეხტობა. დარია ისე უფრთხილდება... აქ რამდენჯერ მცემა იმ სამაგელმა... მაღლობა ღმერთს, რომ აქ არ არის... ვაი, მოდიან, მე გავიქცევი...

მშვიდობით... მშვიდობით... დაიმბლუ... რძე სვალ უშემდებრებია
შექამო... — კუდ ამომუებულმა წითურამ მოჰქმერცხლა. გულიკო
კი მერცხუენილი, ბბურ-
ბურილი შეძრობ სავარ-
მლის ქვეშ. ის გაკვირ-
ვებული იქო. ბავშვი
გატევდა. რა ნაირად?...
ფიქრობდა ის: ჩვენი
პატია ნუცა რამდენჯერ
დგენდ და არ გატეხი-
ლა... როგორ შემინდა
წითურას... ამ დროს



ოთახში შემოვიდა დურჯათებლებიანი ქერა პატარა ქალი.

— ვაი! — სთქა ქალმა, გამოიეკანა სავარმლის ქვეშ ქნუტი
და ბკოცა. — რა გრუცხუენია, გულიკო, რატომ გატეხე ეს ქან-
დაქება? ხომ ეწეინება დედოლოს. მერმე ისე უგვარდა და ლა-
მანიც იქო, არა გრუცხუენია?..

— რა ვიცოდი, რა ვიცოდი, ჩემთ კარგო მაქა, თუ გა-
ტეჭებოდა, — ამბობდა შეწესებული გულიკო და შემინებული,
დაღონებულის თებლებით შესწეროდა მაკას. — რომ მცოდნოდა,
განა შეხტებოდი? ნუცა რამდენჯერ დაეცა... ჩემს დღეში
ძღარ შევხტები, ჩემს დღეში! მე ბალახებში სირბილი და ხეზე
შესრიალება მიუვარდა... რათ წამომიუვანე?.. — ნადვლიანად გა-
ნაგრძობდა ის, მაგრამ მაკას არ ესმოდა გულიკოს დარ-
დი... .

ნინო ნაგაშეძე





გ ე ლ ი ა

ტშმაქია, ქუდურია,
ეუროპიტია და ბუდგრძელა,
ჰყვლგან, როგორც შინაური,
დაცუნცულებს ნელანელა.

დღიურ შრომით დადგალული
სოფელი რომ დაიძინებს,
ის სოროდან გამომურება,
გუნებაში ჩაიცინებს.

აუკება, დაუმება
სოფელ სოფელ ქურდაბაცაცა,
მისთვის ბნელიც ნათელია,
მოიღოუბლის გინდა ცაცა.

თუ ფრთოსანი სადმე ვისმე
დაუმწერეველად დარჩენია,
სუნს აიღებს და მიაგნებს...
არც შიძიას და არც რცხვენია.

უფრო ქათამს ემტერება,
ჩამოიგებნს მაღლით სითა,
გაჭერონჭავს და იქვე გუდავს,
რომ არ გასცეს კრიახითა.

შერე იგდებს ზირში მის შსხვერზლს,
სოროსაკენ ემურება;

თუ მარტოა — გარეთ შესჭამს,
 თუ ბარტერ ჰქავს — მიგნივ მვრება.

მეორე დღეს პატარმლები
 იყეთებენ იმითი გულს,
 რომ სწევლის და ეჭვავენ
 იმ ემძაკს და შეჩენ ებულს.

სოფლებიც ბანს აძლევენ,
 თავს უქნევენ მელას ეველა,
 მაგრამ სოფლის მითქმა-მოთქმას
 რას დაეძებს კუდა-მელა!?

აბაბა.



საშობაო მოპატიუე

I

ედ, დედ! ნახე, აბა, რა ლაშანი ჩიტია! აი, ბურ-
თი! კიდევ ჩიტი სტეირი! ჩემელა! ვაშლი, აწელცი-
სი! ბევრია, ბევრი, დედ!... — ეტიტინებოდა ჩაწია ლეთ
დედასა, რომელიც ნასუიდს სიღასა და შობის სის სამეცულს
ქაღალდის პარკებიდან აღაუგბდა და თან სისარულისა და ბედ-
ნიერების ტკბილს გრძნობას მოლად ღიმილათ გადაქცია;



ისედაც ნათელი ლურჯი თვალები ციურ სიწმინდით აჭვისოდა,
გაჲმორწეინებოდა.

— მერე, იმანა მოიტანა, კაცმა? მამამა იუდა?..

— ჸო, შეიღო, მამამ გიუიდა. უნდა ხეზედ ჩამოვარებული
და სანთლებითა და ფარნებით გაფართოთ. მერე ნიხას, მარტო
თოს, კოლას, კივლას დაფუძნებით. და სტუმრები იქნებიან.
ხომ იცი, სტუმრობანა რა არის? აკი თამაშობთ ხოლმე მენ
და გოგო.

— ჸო, ღება, ჸო! ნინასა, კოლასა... კიდევ?

და განივრად ლია თებლები ღებას ჩააძრენა, თითქოს
რაღაცას ივონებსი.

— კიდევ უნდა მოსარეცხე სიდონიას ჰატარა მართა და
ტიტოს დაფუძნებით. საწელები დარიბები არიან, მამა არა
ჰქოვთ და არა აქვთარა. ერთად ითამაშეთ.

და ღებამ საგანგებოდ ქადალდძი გამოხვეული ნაერჭი გა-
მოხსნა.

— აი, ლელოვან, ეს იმათია. რო მოვლენ, ამას მართა
ჩააცემი, ამასაც ტიტოსა. ციფა და საწელებს ფეხთხაცმელებით
არა აქვთ.

— მართა? ტიტოსა?!..—ეკითხებოდა ჰაწია მოსაუბრე ღე-
ბასა და ფეხთხაცმელებს ხელმი ატრიბლებდა, ღების წინ
მსიარეულად ცმუქავდა.

— აი, ესაც კვებენა გოგოსია; ეს კიდევ ინხნე ბიჭისა-
იმათაც მისცემ, რომ ლამბაზათ ეცვათ და სტუმრებთან არ შე-
რცხსვნენ.—ელაპარაკებოდა დაბბლის ცებილის სიმით ღება თა-
ვისს ტიტოიებ ჰირმებსა და ხალათს, ქაბას, ფეხთხაცმელებს
წევობისად ალაგებდა მაგიდაზედ.

— მერე, მამა გააკეთებს? მალე მოვა?—ეკითხებოდა მოუ-
თმენლად ღეო და თან ხილსა და სათამაშოებს მიეზიდებოდა
სასადილო ოთახიდან სასტუმროში, სადაც აკერა გუშინდელს
აქეთ ლამბაზი და მოხდენილი ნძვის ხე იდგა თოს ტოტა
ფეხზედ, ქადალდის ქარა რეალუსტითა და სანთლებით აჭ-
რელებული.

— ტახტზე დააღაბი, ლეო, გენაცვალოს დედა; არ შესძლო
აფექტ!

— არა, დედა, არა! — გამოსძახოდა ზარივით წერიალა
ტებილის ხმით მეორე ოთახიდან ლეო და თან სათაშაშოებსა
სინ ჯავადა უკრძალებითა.

II

— საღამოს 8 საათზე უკვე სასტუმრო თოახის შეა-
გულ იდგა კონტა ბატარიძლივით მორთული შობის სე, სა-
თამაშოებითა და ხილით თვალმიმტაცად დახუნსლული. სუთ
რიგად ქადალდის ფერბდი რგოლები ჰქონდა ჯაჭვივით შემორ-
ტებული, ძიგა და ძიგ ფერბდივე სანთლები და ქადალდის
ფარინგი ჩარიგებული. სულ მაღლა პენტეროდან ბრწყინვალე
ვარსკვლაბე და ფრთა გაშლილი ანგელოზი გადმოიუწერებოდნენ.

თოახსაცა და თვითონ სესაც დღესავით კამპაში გაჰქონ-
დათ, მომსიმლეველად ელვარებდნენ.

სადღესასწაულოდ გამოწეობილი ბაწია ლეო მსიარუ-
ლად დაქროდა თოახში და თავისსავით ბატარა სტუმრებს—
ნინას, კოლას, გიგლას, ქეთას-ეთამაშებოდა. უფროსებიკი
სასადილო თოახში ისხდნენ, ჩაის შექცევადნენ, მუსაიფობდნენ.

— ლეო, ლეო! ბიძ ჩიტს მე მომცემ, არა? — უთითებდა
კოლა ბოლოუწოდე ფარმავანგზედ და თან ნახის ღიმილით
შეჰქერებდა ფარმავანგს, თითქოს შორიდანვე აღერს უნი-
რებსო.

— ჟო, კოლა, ლეო მოგცემს. ბურთი გიგლასა, არა,
კოლა?

— ნინასა, ნინასა?

— ნინას აის დიდი ჟეპულა, — ჩაერია ეგერაზე უფროსი
გიგლა.

— ჰერლები უეგარს.

— მერე? ვამლებიცა, ქანფეტებიცა, არა.. მართსა, მართსა
ბაშაკები, არა?

ტიპტიპებზენ პატარები, მაგრამ მოსწეინდათ შორიდან
სის ცქერა და უცბად ეველანი შარა-შურითა და ქაქინით სასა-
დილო თთახში შეცვივდნენ, თავ-თავისს უფროსებს გვერდი
ამოუდგუნენ.

— დედა, დედა! როდის მოვა პაპა? კოლაბსა ჩიტი უნდა
ჸა, დედა? — ეკითხებოდა ლეო დედასა და თან მომსიბლეველის
ღიმილით შესურებდა, თითქოს ჭიშურს მოაჯადოვოს და წეა-
ლობა გამოსინოვოსო.

— აი, შეიძლო, ახლავ მაროსა და ტიტოს დაუძახებს ინა-
ნე და პაპაც მოვა, საჩუქრებს დაგირიგებთ. — და ლაპარაკში
ელექტრონის ზარის ღილს თითი დააჭირა.

— ინანე დაუძახებს? .. — ჩაგითხა აჩქარებითა, მაგრამ აღარ
დაუცადა, ბიჭი შემოსულიყო და თითონ გავარდა გარეთა.


III

ორის წამის შემდეგ პატია ლეო უკვე ქვევით იდგა, ქუჩის
პირადა და ფიქრობდა, საით წასულიერ, რომ მაროსა და ტი-
ტოსათვის დაუძახნა... .

ცივს, გამმისჭვალის ქარსა და შობა დამის საერთელოთათ
შეადებას როგორდაც აღრევე შეაწევიტა ხალხის ფეხი ქუჩებ-
ში. აქარქ მხოლოდ იშვიათი აჩრდილი-და მოსჩანდა დაგვია-
ნებულის მიმომავალისა და მეუღლიერის ქარის წუწუნი არღვევ-
და. შავად მობუდელი ცა სათოვლედ ემსადებოდა.

საძინაოდ, სუსტებად ჩაცმული, თავშიძველა ლეო ნელ-ქ-
ლა მიაბაკუნებდა ფეხთხაცმელისა ქუჩის ფილტან ფენილ-ხედა
და არა ესმოდა-რა პატარება, თუ რა სასარელის ამბავს უშა-
დებდა საუცარელს დედ-მამასა. მისს ფიქრში ახლა მხოლოდ

მაროსა და ტიტოს სახე-და იქთ გამოინაკვთული, რომლავინაც
იქ, მაღლა, თბილი ფქნისაცმელები, საჩუქრები და ნიძა, უჭირებელ
კოლა ელოდზნენ...



მოიკითხეს და იპოვნეს კიდევ მაღვ იქვე მეორე სახლის
გუთხეში, პაწია მოსატოებ, მაგრამ უგრძნობელსა და უნდო
ენიგას ისე ძლიერად დაქუცხსა მისი ნორჩი ტანი, რომ ორს

საათს შემდებ უძველოვინში იწვა და ხელ-ფენი თანამდებობის
უნიკალური — გაციებულიერ...

დიდი ხანია დაიძლნენ სტუმრები და მობის სემაც რომ
გარებაც ადრეულად მოიწეონა, მაგრამ ლეოს ოცნება სიცხვე-
შიც მაინც ისევ იქ, მხესავით გაპატაშებულს თათახშია.
ჰელდავს, ავერა, პატარა, რომ მისი სტუმრები მსიარეულად თამა-
შობენ, იცინიან; სათამაშოებსა და ხილს ერთმანეთს უჩვენე-
ბენ; თოვლივით თეთრ წვერია პაპას ერთამულით გარს ეხვე-
ვიან, ესავვარლებიან. ჰელდავს ავრეთვე, რომ მარო და ტი-
ტიც იქნებ დგანძნელ და წარიბებ ქვემ მორცხვადა და გაუბედვად
გამოიურებიან; კოხტა ფეხთსაცმელს ბავშვურის აღტაცებით
ისინ ჯავენ... და უსარიან, უსარიან პატარასა, რომ სიღრი-
ბით დაჩაგრულები ანუგემა, გაახარა...

ან — ანე.



მაიმუნის დღიური

(ფრანგული)

(დასტურებული)



ე ამ საღამოს კი არაფრის შიში
არა მქონდა. სიძინდი ვითომ
მოსულიურ ტექში ჩემ სამებნელად
და მთელი ოჯახის სამუთოი იყო.
გული ტექილად მიძევდა, რო
დესაც ჩემი მარჯვენა ხელი შეგება
სურის ეელის; ხელი თავისუფლად
შევიდა ძიგ და მეც დაფილუკე მთელი მუჭა სიძინდი. გამოგწიე...
შეუძლებელია! ბეჭრი გეწვალე, ვისტუნე, მაგრამ ამაռდ! ცოტა
არ იქნა, დამაფიქრა ამ გარემოებამ.

მარცხენა ხელით თავი მოუიტანე და წავიღიაპარაკე:

— ვნახოთ, რა იქნება! ეხლა მწუხარების კი არა, ფიქრის
დროა. ბიჭო, უისტიტი, შენი ხელი თავისუფლად შევიდა, მაშა
სადამე უნდა გამოვიდეს კიდეც.

კიდევ კეცადე: არაფერი! სურა მლიქერ მმიქე იყო და არ
შეძებლო იმისი წამოუენება.

მე ჩემივე ხელით ვიუავი დაბმული, ხწორედ იმ მელიასაებ,
რომელსაც თავისი შევნიერი გუდი უნდა გაეწიონა, რომ გან-
თავისუფლებულიურ. მაგრამ მე არ შეძებლო ხელის დატოვება.

ხადველი მომაწეა გულტე. რა კნა? გავხსნა მუქა და დაიტენდი სიძინდი?... მე ამაზე ფიქრიც კი მაწუხებდა.

ამ დროს დედანები მომავლნდა და ნელის ხმით წრიპინი დავიწე. საწეალი დედა! მაძინვე მოირბინა ჩემთან. მე კუამბე ჩემი უბედურება. ცოტა ფიქრის შემდეგ დედამ მითხრა:

— აბა სიძინდი გაუშვი, იქნება ნელი გამოვიდეს.

— ეგ როგორ შეიძლება, დედა! მე ხომ მხოლოდ სიძინდისთვის შევსავ ნელი.

— მით უპეთესი! ის არ გირჩევნიან, სიძინდი დაჭებარგო და თავისუფლება დაიბრუნო?

— მე რომ ამ მშენიერ მარცვლებს თავი დავანებო, დედა, ხომ სხვა შესჭამს?

— მერე რა არის?

— არა, მე თვითონ მინდა ვისარგებლო ჩემის შრომით.

— ეგ რომ შეუძლებელია?

— ერთხელ კიდევა ვცდი, დედა!

— ტეულად, ჩემო ბიჭიყო! დამიჯურე, დაანებე თავი მაგ საძაგელ სიძინდს; დღეს იქ, მინდოოში, წაგივვან და იქნება რაძენიმე სიძინდის მარცვალი ვიძოვნოთ.


— რაძენიმე მარცვალი... აქ კი, სედავ, რაძენია? შიძიც არაფრისა გვაქვს.

— დამიჯურე, ჩემო საწეალო ზარარაფ!

ფიქრადაც არ მომდიოდა ჩემი საუნჯის მიტოვება. ჩემს მაიმუნის ჭეუაძი, მე წარმოდგენილი მქონდა, რომ ჩემი სიბრაზისა და წუხილის დანახვაზე სურამ უფრო ძლიერ დააღო პირი, თითქოს დამცინისო. დედაჩემს რაღა შეეძლო! მე ერთი ვაი ვაგლასი ავრენე: ვეკიროდი, ვსტოდი, ვკავრობდი, არ მინდო და გამეგონა საწეალი დედიჩემის რჩევა-მუდარა.

ამ დროს ტექმი რაღაც სმაურობა მომებმა. ორი თეთრი ადამიანი, რომელსაც მე პირველად ვსედავდი, მოდიოდნენ ჩვენს კენ.

დედაჩემი ცრემლებით მესვეწებოდა გამუშავ სიმინდი მარტი
რამ ჩემი ხელი გამუშავებული იყო, ჩემი თითები მაგრად ჩასჭირებული
მარცვლებს; მინამ თავს დაკახტებადი, მოძრავდნენ კიდეც. ბუჟ!



ბუჟ! დაიგრიალა უცბძლ თოუმა და დედაჩემი გულ-გახურეტილი
გადაბოდა ბალახზე.

მე მოლად გამოვმტერდი. ბლარაფერი მესმოდა; სიმინდის
მარცვლები მაგრა შექირა ხელი.

ერთი მონადირეთაგანი მომიახლოება.

— რა ჰატარაა! — სთქა იმან, — ჩემის კაპიტანის წავუმავან.

— ამას ვერ ხედავთ? — დაიუფირა სიცილით მეორემ, — სი-
მინდს რომ არ უშევის! აა, ჩემი ჰატარავ, მაღიან ძვირად
დაისვი შენი მსუნავობა. მაიმუნებისთვის ეგ სულ ერთია, მაგ-
რამ სწორედ რომ სამარცხვინოა ეგ შენი საქციელი.

პირველმა გაიცინა.

მერმე თოვის ლულით გასტეხა ჩემი უბედურების შიწეზი,
შრაფა ხელი და ღრიბლის მიუხედავდ სადღაც წამიევანა.

ჩემმა პატრონმა, კაპიტანმა მატონმა, სახელად შიმშეკი მი-
წოდა იმ გუნდულის უურის სახსოვრად და წამომიუფანა პარიზში.

რატომ არ გაგიგონე, საწეალო დედაშემ!



თქვენა გბონიათ, რომ ამის შემდეგ მე მოვიშალე მსუნა-
გობა? სრულებითაც არა! ჩემმა სისარბემ წოტათი კიდევაც
იმატა. საძინელებაა ეს ნაკლულევანება! ისე არ შევალ მარ-
გოსთან საშინალელომი, რომ ან ნორჩი ბოლოკი ან რამდე-
ნიმე სტაფილო არ მოვიპარო.

მე საძინელად მიუვარს ბოლოკი... თქვენა?

მაგრამ აი პირველი ჭარი. მალე სადილოც იქნება. უნდა
ევარაფერი შევინახო. სუბლ დილით გაგრძელებას დავწერ, თუ
ამ პირველმა ჩემმა წერილმა არ მოგაწეინათ.

თქვენი მონა შიმშეკი.

თ. ლომაური.

ჩეუგის შემდეგ

III

ბალო, ბალო, შენ გენეცებლე, იცი რას გეხვეწები—
 ბაბო იმ დღეს ჯერ კი დამპირდა სამსეცემი წამოუგვებით
 და ქსლა კი ვაძვრობს: ქარგი ერთი დედაშვილობის, გული
 ნე წაიღეო; თავი დამანებე, ამ ლორული დედაჲაცი სად უნდა
 მათრით, რა შენი მსეცებისა მცხელაო... შენი ჭირიმე ბალო,
 დედა ხო იცი ავად არის და შენ უნდა მიშველო რამე, ერ-
 თად წავიდეთ სამსეცემი. ვიმ, რა ქარგი! ჩემი ფისოს ნათე-
 სავებს ვნახავ და ფისოს მაგივრად მოკითხვასაც მოვახსენებ...
 მაშ ჟო, ბალო, ჟო?

— ჟი, შე კუდრაჲბავ, შენა!.. გინდა განა შოთას აკობო?
 მე არ დაგზარდები ჩემთ ქარგო. აი თუ გინდა დღესგვი წავი-
 დეთ. იცოდე კი, რო საღამოს შეიდნ საბაზე სჯობს, მამინ
 მსეცებს აჭმევენ და უფრო საინტერესო სანახავი იქნება.

ამ ბასის შეძლებ, იმავ დღეს ბალო და მარო სამსეცემი
 წავიდნენ. მაგრამ გზაში ამათ მესამე ამხანაგიც მიემატათ—
 ეს გახლდათ შოთა.

მარომ პირველი თავის შთაბეჭდილება შეძლები წერილით
 გადასცა მამას:

საევარელო მაძილო! მე დიდი მადლობელი ვარ მალო
 კექესი. სამსეცე დაქათვაბლიერეთ. შესავალ ქარები იმდენი პა-
 რარა მამუნები დახტიან რო... ის წეველები, უი რა ცელქები,
 რა ეშმაკები არიან!.. ზოგი კუდზე იუო ჩამოკიდული, ზოგი

კირაბექ გადადიოდა, ზოგი რადაცას ისილებოდა, კუთხაშვილი არ ისვენებდნენ. ერთმაც კინაღამ შოთას ქუდი წაარტო—კამა ფიტები რატო არ მომიტანეო. კიდევ ისეთი ლამაზი ფრინ-კელები ვნახე, ისეთი აჭრელებული რო... ესენი თუთიუშები არიანო... ძალომ მითხრა, ჩვენ რო მატია (პატები) ბოჭანდა, ესენი იმაზე უპეტესად სწავლობენ ლაპარაკსათ.

მაგრამ არა მამილო, მე უნდა თავი-და-თავი გიამბო, სხვებისთვის ჯერ არა მცალია... მე ვნახე ლომი! ვიშ, დედავ, ღერავ, რა საძინელია!.. მერე ვნახეთ ვეფხები, შოთას ამისი უფრო შეეძინდა—ლომს რა უჭირს, ეს უფრო შესხარი სანახავიათ... მერე გვაჩვენეს პანტერა, ლეოპარდი, ბაბრი და სხვ. ამათ ისეთი ლამაზი, ჭრელი ქთიბები აცვიათ, რო კაცი გამტერდება.

ძალომ გამაცნო თითონ მხეცების პატრონი გენრიხი. რო იცოდე, მამილო, რა კარგი კაცია ეს გენრიხი! ისეთის ალექსით მიმიღო, ასე შეგონა მია ჩემი ზალიკო მელაპარაკებოდა. აი გენრიხმა რა გვიამბო:

— მენ მართალი ხარ, პატრია ქალო. ერთის შეხედვითაც დარწმუნდებით, რომ ლომი მართლაც დიდებული მსეფო მეფეა. (გენრიხმა წმენდა დაბრტყებ გალიის ფიცარს და ლომ-მა გულ-და-გულ შემოგვანათ თვალები, დაგვიწუო ცეკვა). აი ხო ხედავთ ამის მმღავრ ასოვნებას, ამის თვალად-ტანა-დობას და მის მეფერ მანტიას...

— ლომი მრიელ ჰეგას თავის ნათესავს კატას,—განაგრძო გენრიხმა და მეც გული ამიფანცხალდა... უი ვენაცვალე ჩემს ფისოს!—იმ ბგარივე თავი, ცხვირ-პირი, კბილები, ენა და ფეხები. განირჩევა მსოლოდ იმითი, რომ ლომი კატაზე მეტად დიდია, ზოგს სამ არმინაძე სიგმე აქვს. ბეწვი ლომისა მთლიან ერთფურია—უკითელია და მორუხვოდ დასცემს, თან იძღვნად მოკლეა, რომ ტებავს ზედგე ეპვრის, გასინულია. სა-




მაგიუროდ, ხვად ლომს უძველებელი თავი, კინერი და გული მეტრი მთლიან დაფუნილი აქეს ხმირ და გმელა ჭარბირთ, რომელიც მუხლებამდე სცემს. მე ლომს და ასალებაზდა ხვად ლომსაც ფაფხრი ბრძ აქვთ. კუდი მუს და ხვადს თითქმის ერთნაირი აქვთ — ხარის კუდის ჰყავს, რომელსაც ბოლომი მაგრა რიყი აქეს და ფოჩით თავდება.

ამ ლაბარძეს დროს ლომბა კრთი საძინლად გაიზმორა
და მერე წინ და უქნ საღვათიფით დაიწეო სიარული. უკ-
სებს ის რბილად სდგამს, თითქოს ბალიძებზე დადისო. ჩემმა
უისომაც ხწორებ ასე იცის. ძღლომ ჰყითხა გენრისს, ეს ლო-
მი სად დაიკირეთო, და აი რა უპასუხა:

— ჩვენი ლომი აფრიკაშია დაჭრილი, როცა ჯერ ლეპტი იყო. უწინ ლომი მცირე აზიაში და საბერძნეთშიაც იცოდა, ესლა კი ამ ქვეყნებში სრულებით აღარ ხვდება. ამ ადგილებში ადამიანმა მოლაპდ გააწეო ლომის სასსენებელი. ახლა უმთავრესად ლომის სამსობლით ბრის აფრიკა, აგრეთვე სცხოვრობს ინდოეთში, სპარსეთში და არაბეთშიაც. ჩამოთვლილ ქვეყნებში ლომი დიდ ზარალს აძლევს საღსი, რადგან ძინაურ საქონელს ძრიელ ანადგურებს. საცხოვრებლად ლომის უკეთოს სმირი ბუქენბრი და აკრეთვე შეის სიცხვ-პაპანაქებისაგან გასურებული აფრიკის უდაბნო, ქვიშიანი მინდორავაში აღვილი. აქ სადმე იმოდენა თომოს ამოსთხრის, რომ თითონ ძლიერს ჩატაროს. მოვლი დღე ლომი ამ თავის ბუნავში გდია, ან ისვერებს, ან სმინავს. სადამოთი კი, შებინდება თუ არა, მიდის საეაჩდოთ და მოვლი დაძე გათენებამდე ნადიობს.

შოთამ ისეთი მუჯღვეული წამკრა, რომ კინაღამ შევევი-
რე. ჩამაცოდა: აკი გითხბრი, რო ლომი ეხსაგანა არისო. მე
ჩალახისა შემრცხვა. გენრიხმა ულფაშებ. ქვემ ჩაიცინა და გა-
ნაგრძო:

— ლომის საუკუნეები ნადირ არის ირემი, მართვას
ტილობი, აქლემის კოზაკი (ასალგაზდა აქლემი), სიცონის



ზაქი და სხვა ძროსნია ცსოფელი — ამათი სორცი მისს სუ-
ფრაზე გამოუღვეველდე არის. ნადირობა ლომის კბრისნით

იცის: დაინახავს თუ არა სასადილო ნადირს, უკრიყენიანაა
ში ამოიღებს, წამსვე ისკუპებს და აუცდენლად, გულაფრზე დაქ
ცემა ხოლმე თავის მსხვერპლს. ტოტის ერთი შემოქმრით
ცხოველის ბურთსავით დასცემს დედამიწაზე და ბასრი მაგარ
კბილებით კისრის ხერხემალს მიუღებას ხოლმე. ლომი თა-
ვის ნანადირებს მის დღეში იქნე არ დაუწებს ჭამას: მო-
ჰქლავს თუ არა, მაშინათვე ძეირანს სადმე დაბურულ ბუ-
ქებში ანუ მიურუებულს სადმე ადგილში და იქ იმართავს მე-
ფურ მეჯლისს...

მაღომ ჭითხა, ახლა აქ გაღიაში რო გეპუთ ლომი და-
მწვდეული, რაღას აწმევთო?

— ეხლა მზა-მზარეულს მიირთმევს, ეოველ დღე ათ გირ-
ვანქა საუკეთესო მროსის სორცს ვაჭმევთო,—მიუგო გენრიხმა
და განაგრძო:—ლომი საშინელი ღონიერია—მაგალითად: ფა-
რენის ღობეზე გადახტება, იქ მროსის კისერს მოუმტკრევს,
მერე დაავლებს ჰირს თავის ლუქმას და მთელი მროსა ფარე-
ნის კცის სიმაღლე ღობეზე არსებოდ გადაქვს, მერე რაო—
მითომ ფარენის გარედ სწამოს? სულაც არა. მთელ-მთელ
მროსის გაჩერებული მიარბენინებს მეუღრო ადგილისკენ და
ამ დროს არ დავიდევს თუნდა, არხი დახვდეს, თუნდ სრამი:
ლომი ამ გვარ დაბრკოლებას არ მეუძინდება—მოხდენილად
ისტუპებს, გადახტება და თავის ნანადირები ძროხაც თან გა-
დაქვს. ხბოს კი ისეთის სისწრავით მიარბენინებს, მთელი
დღე რომ გატენებული ცხენით სდიოთ, გერ დაწერებით.

საუკარელო მამილო, მართლა რო საშინელი მსეცი ერ-
ფილდ ლომი, მაგრამ ბოლოს იცი რა გვითხრა გენრიხმა?

— ლომი ხომ ამისთანა ავაზაკი და სისხლის ხარბი მსე-
ციდ, მაგრამ მაინც უებრობ, მეუდარებელია. ლომის ახოვანე-
ბა, მაღადონე, მამაცობა, გულადობა, რაინდობა, კმირობა,
კეთილმობილება და სულუგრმელობა, დარბაისლობა და მშვი-

დი, აუჩქარებელი დამჯდარი ხასიათი ძველის-პეტრების კონცენტრაციის განთქმული. არამთე უოველი ცხოველი, თვით ადამიანთურ დიდი ზარიცხულების ლომის ძლიერებას, აღტაცებაში მოდის იმის მედიდურ გარეგნობით და დიდებულ ზექსასიათით.

ბენრისმა განაგრძო:

— აი ეს ჩვენი ლომი მრიელ კარგად სცნობს იმ კაცს, რომელიც უოველთვის მას უვლის, აწმევს, ასმევს, გალიას უგვის და სხვ. წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ლომი ამ კაცს კატას საჭით ელაქტება ხოლმე. ერთს ამბავსაც მოგასხენებთ. მარა მან მრიელ გაგვაკვირვა ამ ჩვენშა ლომბა. წინედ ამ ლომს ერთი საღვანოთი ჰქვანდა მიჩემებული — უვლიდა, აწმევდა, ასმევდა. ჩვენ ეს საღვანოთი კაი ხანია დაკითხოვეთ... ჟო და მარა მან კი ასეთი ამბავი მოხდა: ჩვეულებრივად ლომს თავის კერძი რო მიუტანეს, კერ ჭამა დაუწეო, მერე უცნად გაანება საჭმელს თავი და გალიას მართულთან მოებრდა, ვიღაც კაცს ლაქტცობა დაუწეო. ეს კაცი იურ ის საღვანოთი, რომელიც ლომს წელიწადზე მეტი არ ენახა, მაგრამ ახლა კი თავის მევობარი ხმაზე იყნო. საღვანოთი მიუახლოვდა გალიას, ხელი მისცა ლომს, ლომი ხიხარულით უღოვავდა კაცს ხელს.

სშირედ -ისიც მომსდარა: თუ ლომი დიდხანს გეღარ ხედას თავის ზატრონს, მრიელ დაღონდება ხოლმე და სხვის ხელიდან საჭმელს არ იღებს. ხოლო რა წამსაც ზატრონი მიუაღერსებს, ლომი მხიარულდება და საჭმელსაც ხალისიანად შეაქცევა.

ლომზე ნადირობა მრიელ საშიძო და სახიფათოა. თავმომწონე, გულადი ვაჟაცისთვის კი სწორედ ეს შიძი და სიუბთი შეადგენს სიამოვნებას. ინდოეთის დიდებაცობასაც მეტად ეხალისება ლომზე გაღამქრება. მეტად სახახელო და საგმირო საქმედ მიაჩნიათ ამ გვარი გაბედულობა. რა გინდ მრავალი და მრიელი მტკრი დაჟცეს ლომს, ლომი თავგანწირულდა,



გშლდგულ შეტრმოლება, ზედ შეპარება მტერს და ვერცხლის
კი მის დღეში არ იყადოდებს. არ ეოფილია კერ მაგალითი, რომ
შეცია მეფეს როდისმე ლაშერობა გამოუჩინოს და თავის მეფერი
ღირება დაქმცირებინოს.

ასე გაათავა ბენრისმა თავის ბაზი, ჩემთ მამილო, და
მერე თავი დაგვიკრა.

მალომ მითხრა: მშ ვიღაც გენრისა გაგაცხი, მალომ
კარგის თვალით კიუკურებს და მერეც მოვიდეთო.

ხეალაც ვაპირებთ წასვლას სამხუცემი. უი, ქა! ჩემი ფი-
სოს მაგივრად ლომი რო ვერ მოვიკითხე? მაგრამ რა უმავს,
ხეალ იქოს რა! ვენაცვალე ჩემ ფისოს, რა დიდებული ჩამოა
მავალი ჰეოლია.

მაშ ხეალამდე ჩემთ მამილო.

შენი მარაჟო.





ნ ა რ ე ვ ი

შეგარჩულე ცხვრები. დიდსა და მნელად საფლავლის გიმა-
ლაის მთებსა და ტიბულტში, სადაც ზოგან ჰქოლა სხვა ცხო-
ველს უჭირს სიარული, ადამიანს ბარგის ზიდვა ცხვრებისათ-
ვის უსწავლებია. მარდი და უძიმარი, მშეცდობიანი. გუნდუ
ანუ გუნიგა (ცხვრების სახელებია) არ უარობს და 10—25
გირგანქამდე ტვირთს ადგილად ზიდვებს ასეთს მთებში. ერთს
ადგილას, სოფ. ჩოქეუმთან, მაგალითად, გრავლელად უკა-
მინელებს ფრიალო კლდეებში მთელის 775 ნაბიჯის მანილ-
ზედ რკინის პალოების დარწმუნილი, ზედ მიწა წაერილი პტეჭ-
ლი ქვებია დაწეობილი და ასეა სელოვნურად გაყეთებული სა-
მიმარი ბილიკი, რომელსაც სიგანე 12—18 დიუმი აქვს
მხოლოდ, ე. ი. სახევარ არმინზედ ცოტა მეტ-ნაკლები. ნი-
მუშად ესეც ქმარა, მებარეულე ცხვრების დიდი სამსახური შე-
დაფურიდ დაგაფეხოთ.

უარაეთორუმის მთებში, მაგალითად, სადაც სძირად სამა-
გელი ამინდი იცის და ფრინველიც კი იმჟიათია, მთელს ფა-
რა ცხვარს 330 ანგლისური მილი (580-მდე გერსტი) გაუველია
თვები და მარტო ერთი სული ცხვარი და სარალებია. ლოდვის მას-
ლობლად კონინგებს 600 სული ცხვარი უნახავს მატელით და-
ტექირთული; რამდენსამე დღის შემდგომ კი 5—6 ათასი სხვა,
ისეც მატელითა, კოგირდითა და გამხმარ გარგარით დატე-
რთული. დღის სამსახურს უწევენ აქაურებს აკრეთვე თხებიც.

* * *

შესლ-ფილ გაათარი ეალი. მნეობასც და შრომას
ბეჭრი რამ შესძლებია. ინგლისურ გაზეოების სიტყვით, ლონგ-


ისლანდში სცხოვრობს თურმე უსელ-ფეხო პუტი წალი, რომ
მელსაც არამც თუ ძეგუსწავლია სატვა და ქსოვა (ზინოვია მუშა
ჩებითა, ენითა და კბილებითა), სახელიც კი გაუთქვამს, რო-
გორც ძეგუდორებელს ხელოვანსა. ქალი ქსატავს სურათებსა და
ჰქეოვს ისეთს საუცხოვო რამების, რომ მნახველი გერც კი
წარმოიდგენს, თუ როგორ არის ნამუშევარი. აი, თურმე,
სხუათა შორის, ნემსის როგორ აგებს: ძეგურჭობს კბილებით
მავიდაში ნემსი, ბილებს შერუ მაფსა (კბილებითვე) და ისე მა-
რდად ააგებს, რომ ბევრი თრი ხელითაც კი ვერ მოახერხებს
ამასა. მაფსაც კბილებითა და ტუჩებითვე ჰყვანმავს თურმე.

* *

საოლა თუთიზუათათვის. ამ გებრი სახწავლებელი არსებობს
აქერი კელ ქალაქ ფილადელფიაში. აქ თუთიუუშებს ასწავლის ლაპა-
რაკს და სკოლის გამგე ქალი დიდს ფულს იღებს აგრე გაწრთვ-
ნილს თუთიუუშების გაეიდვით. ამ მოხერსებულმა ქალმა ერთი სა-
შეაღება მოივონა, რომ გაეძღვილებინა თავისითვის თუთიუუშე-
ბის სწავლის საქმე: სიტევებს, რომელიც თუთიუუშებმა უნდა
ძეისწავლონ, მასწავლებელი კი არა, ფოსოვრაფი უქო-
რებს; მასწავლებელი კი მხოლოდ თვალუერს ადგნებს თა-
ვის მოწაფეებს.

* *

უცნაური საჯელები. ვინ მოსთვლის, რა გემოვნების საღასს
არ შექსვდებით დედამიწის ზურგზე: უკიდურესს ჩრდილოეთში
მაღლ-თვეზას დუმას მიირთმევენ სიამოვნებით, სამხრეთ. ეკ-
როვაძი — მოსრაკულ ბაჟავებს, ჩინეთში — მერცხლის ბუდესა. ია-
ვასა და სუმატრის კუნძულებზედ კი მიწასაც გიახლებიან.
აიღებენ მიწასა, ქვებესა, დამჭერაზ ფოთლებსა და კლერტებს
გამოარჩევენ, მოჭაველებ ცომივითა, ლაპაშივით გაათხლებენ,
დასტურიან, მოსწავებ ტაბაზედა და მექანიკიან. გემრივლია თუ
არა? არ ვიცით, მაგრამ ძრობაშე მოწმობს, რომ გემრიელია
უთუოდ. მარგებელი? ეს კი შეიძლება, რადგან მცენარეუ-
ბიც ხომ იმავ მიწიდან სწოწნიან ზოგიერთა მარილებსა. მც-
ნარეულ საჭმელს კი ჩვენც სიამოვნებით გიახლებით.



სახალისო სამუშაო და გასართობი

„ნიშნა, ნიშნა“

(აღ. შეკერძო შეკლის რეკულიტი)

მოთამაშენი გაიცილებიან თუ ჯგუფად. გამწკრივდება სე-
 ლებ ჩაკიდებული ქრთი ჯგუფი მეორეს პირდაპირ ასე 40—60
 ნაბიჯზედ. ქრთი ჯგუფიდან გამოგეხნება რომელიმე მოთამაშე
 და ქცემა მეორე ჯგუფის წრეს, ცდილობს გაარღვიოს. თუ ვერ
 გაარღვია, დარჩება ამ წრეში ტექნი და თუ გაარღვია ერთ-
 ერთს იმათგანს, რომელსაც გააშვებინა ხელები, წამოივანს
 ტექნი. ამის შემდეგ მეორე ჯგუფიდან გამოქანდება მოთამაშე.
 ასე რიგ-რიგად იქმდის, ვიდრე რომელიმე ჯგუფში არ გამოი-
 ლება მოთამაშე, რის შემდეგაც თამაში ახლად იწევბა.

ტექნი შეიძლება წრეში ჩააყენონ, ან წრის უქან ამეოფონ,
 ხოლო ამ უქანასკნელ შემთხვევაში ტექნი ბრუნდება თავისავე
 წრეში, თუ ამის წამომევანს ტექნი წაიუვანება.

წრეები ქრთმანეთს იწვევენ ამნაირად: ვსოქვათ, პირველი
 წრიდან უნდა გაქანდეს მოთამაშე, მეორე წრე იწევბს ლაპა-
 რაკს:

- 2 წრე: „ნიშნა, ნიშნა!“
- 1 წრე: „ბალბა ლუქა.“
- 2 წრე: „ქალი ვინა?“
- 1 წრე: „მე გახლავარ.“
- 2 წრე: „მობრძანდი და შეად გახლავართ.“

ჰასუსს აძლევს ის, ვინც უნდა გაქანდეს და მოლაპარაკე-
 ბის შემდეგ გაქანება კიდეც.

၂၁၉၈ ၃၁၆၁ၬ၆

უქნოა, მაგრამ უხმოდ
ბევრი რამ კარგის მოქმედია;
სულელის დაწუნებული
ჰქოიანის სანატოლი.

აკაკი.

პატარა მკითხველის წერილები

მაცარა „ნაყადულის“ რედაქტორის.

მე მოძღის „ნაქადული“. მე მოძეწონა ლექსი „ქუცუნიას რეზანი“. შევენიერიდ ლექსი „ეურმა და გოგლიერ“, რომლის კითხვის დროს დედამცა და მეც ბევრი ვიტირეთ; დედა კო გლიკოს ტიროდა, მე უერმას. კარგია „ამავი მუხა“. აკაკის გამოცხანა უერმენი და დენორა. კარგია „ჩეუბიც“ და „ქარმის საიდუმლოებაც“. საერთოდ კარგია „ნაკადული“.

გახრანგ წელუქამა.

28 ნოემბერი 1904 წ.



გამოცანების ახსნა:

მე-3 №-ზი მოთავსებული გამოცანა არის რამის გზის მარარებილი. გამომცემელი კნ. ნ. ე. ქომულაშვილისა.

რედაქტორები		კნ. ე. ერასთავისაძ.
		ნ. ზურაბიშვილისაძ

„ნაცალულის“ რედაქტირი ბოლოში იხდის ხელის მომწერთა წი
ნაშე ნომრების დაგვიანებისთვის: ჯერ კლირების დამზადებამ
შეგვიშალა ხელი და მერე კი მუშათა გაფიცვამ.



ახალი წელიწადი